ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ.თბილისი 21 დეკემბერი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ანა გოგოლაძე
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ალექსანდრე რატიშვილი
რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
საბა ბუაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ ნელ-ნელა შევდივართ სამუშაო პროცესში და ისაუბრა პროცედურულ საკითხებზე. მისი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც საკრებულოს სხდომაზე განიხილება პროექტები, რომლებიც შემოსულია სხდომამდე 3-4 დღით ადრე, თუმცა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არასწორი იქნებოდა მათი დაყოვნება, ხოლო იმ საკითხების შესასწავლად, რომლებიც საჭიროებს საფუძვლიან განხილვას, ყოველთვის გვექნება შესაბამისი დრო და ვადა. აქვე, საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 27 და 29 დეკემბერს გაიმართება საკრებულოს სხდომები.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომათა დარბაზში განთავსდა დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი და მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერიას და საკრებულოს, რომლებმაც, ერთობლივად, მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება.

ნინო კვიტაიშვილმა საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიულოცა დაბადების დღე, „უკანონო ტყვეობიდან გათავისუფლება" უსურვა და წაიკითხა მისი ციტატა: „საქართველოში შემოსაღებია ჭეშმარიტი თვითმმართველობა, სადაც არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება თითოეული მოქალაქის მიერ კონტროლის გარეშე". განაცხადა, რომ მას გულწრფელად ჯერა, რომ ეს ასე იქნება, თუმცა ვერც წინა და ვერც მომავალი წლის ბიუჯეტმა ეს ვერ დაანახა და ამიტომ ფიქრობს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ამის მიღწევა შეუძლებელია. ნინო კვიტაიშვილმა ისაუბრა ორი დღის წინ, ვაზისუბანში გაზის გაჟონვის შემთხვევაზე და განაცხადა, რომ დროა, თვითმმართველობის ორგანოებმა ამ მიმართულებით სათანადო ყურადღება დაუთმონ პრევენციის საკითხს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ცოტნე კობერიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ვახტანგ სურგულაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა
თანამომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ნინო მაღრაძე

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის მე-3 ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.062.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სულუხიას ქუჩა N1/ჩიტაიას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტლის კორპუს N6გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.03.048.005.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, თ.ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1ა-და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.606) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.536) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.003.071.01.500 და N01.19.17.003.071.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.001.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ. 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის“ (ს.ნ. 243859749) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, გმირ კურსანტთა III შესახვევი N4-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1968 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის“ (ს.ნ: 243859749) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3351 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე ებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ნიკე გრუპისათვის“ (ს.ნ: 405385578) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „გრანდ თაუერისთვის“ (ს.ნ: 405269891) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ. N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ვი.ვი.ენ კომპანის“ (ს/ნ. 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ. N01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ. N01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.03.467, N81.02.03.468, N81.02.93.330, N81.02.03.733, N81.02.03.558, N81.02.03.425, N81.02.03.426, N81.02.98.911) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N3; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში, ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2; N6; N11/059); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.014; N01.10.06.011.077; N01.10.06.011.084) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.346) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.859; N72.16.18.919) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქი თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის ქუჩა, N9, N7, N11, N13 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.617; N01.72.14.013.691; N01.72.14.013.838; N01.72.14.013.630) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.977) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქ.თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, „ორთაჭალას ტურფას" განაშენიანების პროექტის შესათანხმებლად" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 28 სექტემბრის N21/614 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N23 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.16.002.137; N01.19.16.0022) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N24 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქ.თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე, შპს „ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, მე-7 კვარტალში, N7 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.079), სავაჭრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 13 თებერვლის N190 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შპს „ზევსი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის" განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94"-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N437 განკარგულებით

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა N3, N3ა, N5ა, N5, N7, N9, N9ა, N11; ქალაქი თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.; ქალაქი თბილისი, დ.აღმაშენებლის მე-13 კმ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.649; N01.72.14.014.968; N01.72.14.014.207; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.831; N01.72.14.014.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N165-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე".

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ცოტნე კობერიძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ვახტანგ სურგულაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და დეტალურად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებებზე - თუ რა მიმართულებით და რა მიზნით არის თანხები გადანაწილებული. აქვე აღნიშნა, რომ ის პროგრამები, რომლებსაც აკლდება თანხა, არ შეჩერდება და ამ თანხის ასახვა მოხდება მომავალი წლის ბიუჯეტის პირველი ცვლილების დროს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით გაცილებით მარტივდება პრემიების მიღება იმ სპორტსმენებისთვის, რომლებმაც მაღალი შედეგი აჩვენეს საერთაშორისო თუ ადგილობრივ ჩემპიონატებზე და ტურნირებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძემ და განმარტა, რომ თბილისში რეგურალური საქალაქო ტრანსპორტის და სპორტის მიმართულებით მოქმედი ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ბალანზე რიცხული ძირითადი საშუალებები არის საკმაოდ მაღალი საბალანსო ღირებულების მქონე, ხშირად

მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას განაკვეთებთან დაკავშირებით საშეღავათო პირობების დაწესებაზე. აღნიშნულ საშეღავათო მოცულობად განისაზღვრა 0.001%, რომელიც 2015 წლიდან მოქმედებს სპორტის, ხოლო 2018 წლიდან ტრანსპორტის მიმართულებით. საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილია ვადის გაგრძელება 2023 წლის პირველ იანვრამდე.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, ყველა სპორტული ობიექტი, რომელსაც აქვს შესაბამისი კლასიფიკატორი, მაქსიმალურად სარგებლობდეს ქონების გადასახადზე ხსენებული შეღავათით.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტს არ ახლავს ფინანსური დასაბუთება და თხოვნით მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს და საკრებულოს კომისიებს, რომ შემდგომში, როდესაც საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი იქნება მსგავსი მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური ინიციატივები, თან ერთვოდეს ფინანსური დასაბუთება, რადგან, მისი თქმით, მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა იცვლება, არამედ ისიც, თუ რა გავლენა ექნება მას ბიუჯეტზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის მე-3 ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.062.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც ოჯახთან ერთად, 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, სულუხიას ქუჩა N1/ჩიტაიას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, მე-3 კვარტლის კორპუს N6ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.03.048.005.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 62 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც ოჯახთან ერთად, 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, თ.ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1ა-და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 79 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომელთაგან ერთი 2009 წლიდან, ხოლო მეორე 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.606) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 416 კვ.მ. ფართის გადაცემა რვა ოჯახისთვის, რომლებიც სხვადასხვა პერიოდიდან, თუმცა, არაუგვიანეს 2013 წლიდან, ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.536) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 34 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.003.071.01.500 და N01.19.17.003.071.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, კორპუს N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.001.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 57 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის" (ს/ნ. 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საიჯარო ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 23760 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის" (ს.ნ. 243859749) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების პროექტი. ამ შემთხვევაში, დიდ დიღომში, გამოყოფილი იქნა 4057 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, კ2 კოეფიციენტი არის 3.5, საბანკო გარანტია წარმოდგენილია 700000 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი შეადგენდა 1400 კვ.მ.-ს,

თუმცა, გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადმოსცემს 1950 კვ.მ. ფართს თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რაც შემდგომ გადაეცემა 24 ოჯახს.

ალექსანდრე რატიშვილმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ავჭალაში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობაზე დიდ დიღომში და დაინტერესდა, რა პრინციპით მოხდა მუნიციპალური ბალანსიდან ქონების გადაცემა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სხვადასხვა პერიოდში იყო დაზარალებული პირების დაკმაყოფილების სხვადასხვა პროცედურა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორ ოჯახს ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მათ მიეკუთვნათ მიწის ნაკვეთი, თუმცა, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალი არის მიწის ნაკვეთს დამატებული ბინა. სამწუხაროდ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხსენებულ მოქალაქეებს მიაკუთვნა სასამართლომ, შეჭრილები არიან სხვა პირები. შესაბამისად, ეს ადამიანები, სტანდარტული პროცედურით, მოხვდნენ სხვა პროექტში და ის ნაწილობრივი უფლება, რომელიც ჰქონდათ მიწასთან დაკავშირებით, გადმოეცა მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, თუ მომავალში მოხდება ამ ტერიტორიის სრულყოფილად გამოთავისუფლება, მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, გმირ კურსანტთა III შესახვევი N4-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1968 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის" (ს.ნ: 243859749) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების პროექტი. ამ შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა გმირ კურსანტთა III შესახვევში N4-ის მიმდებარედ არსებულ 1968 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, კ2 კოეფიციენტი არის 3.0, საბანკო გარანტია წარმოდგენილია 500000 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი შეადგენდა 600 კვ.მ.-ს, თუმცა, გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადმოსცემს 800 კვ.მ. ფართს, რაც შემდგომ გადაეცემა 12 ოჯახს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.073

საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3351 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე ებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ნიკე გრუპისათვის" (ს.ნ: 405385578) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების პროექტი. ამ შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 3351 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, სადაც კ2 კოეფიციენტი არის 3.8, საბანკო გარანტია წარმოდგენილია 700000 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი შეადგენდა 1300 კვ.მ.-ს, თუმცა, გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადმოსცემს 2750 კვ.მ. ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, რაც შემდგომ გადაეცემა 36 ოჯახს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქ.თბილისში, პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.001.263 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2010 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „გრანდ თაუერისთვის" (ს.ნ: 405269891) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების პროექტი. ამ შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა პეტრიწის ქუჩის ბოლოში არსებულ 2010 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, კ2 კოეფიციენტი არის 4.6, საბანკო გარანტია წარმოდგენილია 1000000 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი შეადგენდა 950 კვ.მ.-ს, თუმცა, გამარჯვებული კომპანია მუნიციპალიტეტს გადმოსცემს 1750 კვ.მ. ფართს, რაც შემდგომ გადაეცემა 27 ოჯახს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I (ს/კ. N01.19.20.030.009) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ვი.ვი.ენ კომპანის" (ს/ნ. 406126133) მიმართ მისამართებზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი I, (ს/კ. N01.19.20.030.009), ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VI, კორპუსი 1-ის მიმდებარედ (ს/კ. N01.19.20.030.035) არსებულ მიწის ნაკვეთებზე ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ემსახურება 44 ოჯახის დაკმაყოფილებას, რომლებსაც საცხოვრებელი სახლი დაეწგრა ავარიულობის გამო. გასაცემი ფართის ჯამი არის 1855 კვ.მ. საცხოვრებელი, ხოლო სარდაფი - 105 კვ.მ. კომპანიას, ხელშემწყობი ღონისძიების სახით, მინიჭებული აქვს შემდეგი პრეფერენციები: კ1 კოეფიციენტი - 0.8, კ2 კოეფიციენტი - 8.2, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე გათვალისწინებული არ იქნება სიმაღლის განმსაზღვრელი და მიჯნის ზონის ღიობის მოწყობის მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ ინვესტორს აქვს ვალდებულება, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში აიღოს ნებართვა და ნებართვის აღების ეტაპზე წარმოადგინოს ყველა მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმდება ზემოთ ხსენებული პრეფერენციები.

ალექსანდრე რატიშვილი დაინტერესდა, რატომ მოხდა ისეთი პრეფერენციის მინიჭება, რომლის თანახმადაც გათვალისწინებული არ იქნება პარკინგი და რა პრინციპით მოხდა კ2 კოეფიციენტის გაზრდა 2.2-დან 8.2-მდე.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ პარკინგი, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება, თუმცა არა კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებული არ იქნება ბინაზე ერთი პარკინგი. რაც შეეხება კოეფიციენტის მატებას, აღნიშნა, რომ კ2 კოეფიციენტი 8.2 მაჩვენებლით ნიშნავს 12 სართულიანი შენობის მშენებლობას და ინვესტორი რომ ჩამჯდარიყო ეკონომიკაში, დათვლა მოხდა შესაბამისი ფორმულის საფუძველზე, 20%-იანი აირარის ფარგლებში.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე იდგა ე.წ. „ხრუშჩოვკა“, რომლის საკადასტრო ერთეული არის მხოლოდ ის, სადაც იდგა შენობა. შესაბამისად, მას არ ჰქონდა დადგენილი წითელი ხაზები და არ ჰქონდა ეზო, რამაც გამოიწვია ის, რომ კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი არის მაღალი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო პროექტი ერთმანეთთან კავშირშია და აქედან გამომდინარე, ისაუბრა ორივე საკითხზე. აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში მაკომპრომისირებელი ღონისძიებების სახით, მოქმედებს შემდეგი: თუ სპეციალური ზონალური შეთანხმებით, მოქალაქე მოითხოვს ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას ანუ კომერციული ფართიდან საცხოვრებელში გადაყვანას, გათვალისწინებულია ნამატი ფართის 4%-ის გადაცემა მუნიციპალიტეტისთვის. ცვლილება ეხება ასევე, იმ ობიექტებს, სადაც კ1 და კ2 კოეფიციენტები უკვე გადაჭარბებულია. იქიდან გამომდინარე, რომ თანაბარ პირობებში იყვნენ ის ობიექტები, რომლებზეც მიმდინარეობს წარმოება და რომლებზეც უკვე გადაჭარბებულია კ1 და კ2 კოეფიციენტები, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ფუნქციური დანიშნულების ცვლილება განხორციელდეს სპეციალური ზონალური შეთანხმებით, ისევ იმ მაკომპრომისირებელი ღონისძიებებით, რაც

გთვალისწინებულია ნამატი ფართის 4%-ით, თეთრი კარკასის მდგომარეობაში არსებული ბინა-ერთეულის სახით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032134433-03 თარიღი: 10.12.2021, N12-032134738-03 თარიღი: 13.12.2021 და N12-032135041-03 თარიღი: 16.12.2021, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032134433-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ და N12-032135041-03 წერილით წარმოდგენილი „ა“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.03.467, N81.02.03.468, N81.02.93.330, N81.02.03.733, N81.02.03.558, N81.02.03.425,

N81.02.03.426, N81.02.98.911) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება რვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N3; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში, ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2; N6; N11/059); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.014; N01.10.06.011.077; N01.10.06.011.084) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6112 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება მაქსიმუმ 19 სართულიანი, ერთი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.346) საწარმოო და სასაწყობო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე, კერძოდ, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება მაქსიმუმ 3 სართულიანი, ერთი სასაწყობო შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.859; N72.16.18.919) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება რვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქი თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, ჯამური კოეფიციენტი 3.5-ით, განთავსდება მაქსიმუმ 20 სართულიანი, სამი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის ქუჩა, N9, N7, N11, N13 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.013.617; N01.72.14.013.691; N01.72.14.013.838; N01.72.14.013.630) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, კ2 კოეფიციენტი 1.5-ით, აშშ-ს საელჩოს შეზღუდვების გათვალისწინებით, განთავსდება ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.006.977) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8546 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება რვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და თითოეული მიწის ნაკვეთი გაიმიჯნება 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქ.თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, „ორთაჭალას ტურფას“ განაშენიანების პროექტის შესათანხმებლად“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 28 სექტემბრის N21/614 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ერთ სექტორში ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N23 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია რამდენიმე საკადასტრო ერთეულის საზღვრების დაკორექტირება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი N106-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.16.002.137; N01.19.16.0022) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის N24 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით. კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების კონფიგურაციის ცვლილება, კერძოდ, სამი შენობა-ნაგებობის ნაცვლად, განთავსდება ერთი საწარმო, რომლის სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით ანუ 3 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქ.თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე, შპს „ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, მე-7 კვარტალში, N7 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.024.079), სავაჭრო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 13 თებერვლის N190 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9399 კვ.მ., სადაც დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომელიც ითვალისწინებდა ტერიტორიის ხუთ სექტორად გამიჯვნას და განვითარებას. იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიის მფლობელი არის ერთი მესაკუთრე, კორექტირებით წარმოდგენილია ხუთივე სექტორის გაერთიანება და ერთ სექტორში განვითარება, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შპს „ზევსი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 1125 კვ.მ. კორექტირების მიზანია სამი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და ერთი ინდივიდუალური სახლის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N437 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხემშემწყობი ღონისძიების გამოყენების ფარგლებში, კ2 კოეფიციენტი 3.5-დან გაიზარდა 3.7-მდე. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია კორექტირება, რომლის მიხედვითაც სამ შენობა-ნაგებობაზე ხდება თითო-თითო სართულის დამატება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 964 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ორი საკადასტრო

ერთეულის გაერთიანება და ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა N3, N3ა, N5ა, N5, N7, N9, N9ა, N11; ქალაქი თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.; ქალაქი თბილისი, დ.აღმაშენებლის მე-13 კმ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.649; N01.72.14.014.968; N01.72.14.014.207; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.831; N01.72.14.014.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., რომელზეც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია სამი 12 სართულიანი, მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება, სადაც 75% დაეთმობა მრავალბინიან კორპუსს, ხოლო 25% - კომერციულ სავაჭრო ფართს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N165-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: N01.19.39.008.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 6 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 12000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 35 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი